

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი



სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შემუშავებულია კონვენციური და ორგანული სტრატეგიული დაგეგმარების საფუძველზე.

კონვენციური დაგეგმარება (თანმიმდევრული აქტივობების განხორციელება) გულისხმობს ორგანიზაცია მდგრადი და პროგნოზირებადია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა დაგეგმილ საქმიანობას თანმიმდევრულად ახორციელებს. კონვენციური დაგეგმარება შეესაბამება იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთა გარემო პირობები არსებითად სტაბილურია. თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებები ცვალებად გარემოში მუდმივად იცვლება. შესაბამისად, მხოლოდ კონვენციური დაგეგმარების მეთოდით ჩამოყალიბებული სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაძლოა სწრაფადვე გახდეს გადასახედი. საქართველოს საგანმანათლებლო სექტორს გააჩნია ცვალებადი გარემო პირობები (მიმდინარე რეფორმები, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები), ამიტომ კონვენციურ მეთოდთან ერთად ეფექტურია ორგანული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო სექტორის დინამიკასა და ცვალებადი ბუნებას.

კონვენციური მოდელის ეტაპები:

- ა) განავითაროს/განახლოს მისია და ღირებულებები;
- ბ) შეარჩიოს მრავალწლიანი სტრატეგიები და/ან მიზნები რათა მიღწეულ იქნეს ხედვა;
- დ) განავითაროს სამოქმედო გეგმა, სადაც აღწერილია თუ ვინ რას გააკეთებს და როდის, რათა მიღწეული იქნეს თითოეული მიზანი;
- ე) განსაზღვროს სტრუქტურული ერთეულების გეგმები.

ორგანული მოდელის ეტაპები:

- ა) დაინტერესებული პირების ჩართულობით გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება;
- ბ) დაინტერესებული პირების ჩართულობით ხედვის შესაბამისი ღირებულებების ჩამოყალიბება;
- გ) დაინტერესებული პირებთან რეგულარული შეხვედრები ხედვის კარგად ჩამოყალიბების მიზნით.
- დ) დასრულებული და დაგეგმილი ქმედებების ნუსხა შესაძლოა ჩართული იქნას სტრატეგიულ გეგმაში.

შედეგად, საგანმანათლებლო სექტორის დინამიკა და ცვალებადი ბუნება (ორგანული მოდელი) შერწყმულია თანმიმდევრული აქტივობების განხორციელებასთან (კონვენციური მოდელი), რაც კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ძლიერი მხარეა.

კოლეჯის მიერ შესწავლილი და გათვალისწინებული იქნა ის გარემოებები, რომელიც შესაძლო გავლენას მოახდენს დაწესებულების ფუნქციონირებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს კოლეჯის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, გამოწვევებთან და ცვლილებებთან ადაპტაციას.

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

შეგროვდა ინფორმაცია დაწესებულების შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. მოხდა კოლეჯის შიდა დოკუმენტაციისა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება. განხორციელდა სიტუაციის ანალიზი SWOT (სიძლიერე, სისუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) და PESTEL (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საკანონმდებლო ფაქტორები) მეთოდოლოგიების გამოყენებით, რომელიც მოიცავს როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებს.

შიდა ფაქტორები: შიდა ფაქტორებმა მოიცვა სხვადასხვა სეგმენტები, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფა, პერსონალი და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტური სერვისები, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსი, შრომის პირობები, მართვის სისტემა და სხვა. ანალიზის შედეგად გამოვლინდა კოლეჯის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები:

ძლიერი მხარეები:

- გავიზიარეთ ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებები ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის, პერსონალის მიზიდვისა და განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ორგანიზების, ადგილობრივი და საერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბების პროცესების შესახებ;
- კოლეჯის დამფუძნებელს გააჩნია ძლიერი და პირდაპირი კავშირები ბიზნესთან და მომსახურების სფეროს დაწესებულებებთან;
- საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები პროფესიული განათლების განვითარების მიზნით;
- სწორად განსაზღვრული მისია;
- დივერსიფიცირებული დაფინანსების წყარო - დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ფინანსურ მდგრადობას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამები;
- თანამშრომლობითი გარემო;
- სასწავლო რესურსები;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- ხელმისაწვდომი სწავლის საფასური და სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის პოლიტიკა;
- მოტივირებული, პროფესიონალი და გამოცდილი ადმინისტრაციული პერსონალი;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურა;
- სტუდენტური საერთო საცხოვრებელი
- ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ადაპტირებული და უსაფრთხო გარემო;
- საკუთარი შენობა და ეზო;
- სამედიცინო კაბინეტი;
- კაფე.

სუსტი მხარეები

- დაბალი ცნობადობა;
- პროესიული მასწავლებლების გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების მიზნით;

გარე ფაქტორები:

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

გარე ფაქტორების ანალიზმა მოიცვა შემდეგი სეგმენტები: პროფესიული კოლეჯებისადმი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, სტანდარტები, ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი ასპექტები (დემოგრაფიული მდგომარეობა, შრომის ბაზრის მოთხოვნები, არსებული კონკურენტული გარემო, მოთხოვნები პროფესიულ პროგრამებზე და სხვა. გარე ფაქტორების ანალიზი იძლევა საფრთხეების პრევენციისა და რისკების მართვის შესაძლებლობებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობები და საფრთხეები განისაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არიან ფაქტორები, როგორც კოლეჯისთვის, ასევე კონკურენტებისთვის.

განვითარების შესაძლებლობები:

- რუსთავი არის ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრი;
- ქვემო ქართლის მზარდი დემოგრაფია ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტების მოზიდვის ფაქტორს;
- რეგიონში პროფესიული განათლების მოთხოვნა საკმაოდ დიდია.
- ევროპული საგანმანათლებლო სივრცე საქართველოში ქმნის შესაძლებლობებს პროფესიული კოლეჯებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტებით;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით;
- გამოცდილი პროფესიული მასწავლებლების მოზიდვა;
- სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენის მიზნით რეგიონალური პროექტების განხორციელება, სხვადასხვა კონფერენციებში და ღონისძიებებში მონაწილეობა;
- პერსონალის პოტენციალის განვითარება;
- ელექტრონული სერვისების განვითარება;
- კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან „რეინვესტიციის“ მიღებისათვის ქმედითი მექანიზმების შემუშავება;
- ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესება;

საფრთხეები:

- არამდგრადი სოციალური გარემო;
- კოლეჯებს შორის ზრდადი კონკურენცია.

შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრული იქნა კოლეჯის ფუნქციონირების თავისებურებები, რესურსები, კონკურენტული უპირატესობები და მიზნობრივი ორიენტირები. ამ ფაქტორებმა განსაზღვრა დაწესებულების მისია. მისიის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა ხედვა, ღირებულებები და გრძელვადიანი პრიორიტეტები. გამოკვეთილ იქნა კოლეჯის სტრატეგია - განვითარების გრძელვადიანი მიმართულება, რომელიც დასახული მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა.

კოლეჯის მიერ გააზრებული იქნა:

- პროფესიული განათლების თანამედროვე გამოწვევები;
- ჩამოყალიბდა პრიორიტეტები, თუ სად მოხდეს რესურსების კონცენტრაცია, კოლეჯის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით;
- შეფასდა სხვადასხვა მომსახურების დაფინანსების ხარჯები;

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

- გააზრებული იქნა კოლეჯის საქმიანობისათვის დროის, ძალისხმევისა და რესურსების ინვესტირების მიზანშეწონილობა;
- გააზრებული იქნა კოლეჯის საქმიანობისათვის გეგმები განვითარებასთან დაკავშირებით და დასაფინანსებლად საჭირო რესურსები;
- შეფასდა სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებაში მონაწილეთა ჩართულობის ხარისხი, პასუხისმგებლობა და კომპეტენცია;
- გამოიკვეთა კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები;
- შემუშავდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.